ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

იჯარა

კომპანია როგორც მოიჯარე

ნებისმიერი ახალი ხელშეკრულების დაწყებისას რომელიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ, კომპანიამ უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას.

იჯარა განიმარტება როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ამ განმარტების გამოსაყენებლად კომპანიამ უნდა შეაფასოს:

ა) კონტრაქტი შეიცავს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. როგორც წესი, აქტივი პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ აქტივის იდენტიფიცირება არაპირდაპირი გზით მოხდეს იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება მომხმარებლისთვის.

ბ) ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან არსებითი სარგებლის მიღების უფლება. აქტივის გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის უმეტესი წილის მიღების უფლების არსებობის შეფასებისას, საწარმომ ეკონომიკური სარგებლის ის სახეები უნდა განიხილოს, რომლებიც აქტივის გამოყენებით მიიღება აქტივის გამოყენებაზე მომხმარებლის უფლებებისთვის დადგენილ გარკვეულ საზღვრებში. კომპანია განსაზღვრავს, როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება უნდა მოიცავდეს: საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას; საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეულ პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.

მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ აღნიშნული განაკვეთი არ არის ხელმისაწვდომი მოიჯარემ უნდა გამოიყენოს ზღვრული სასესხო განაკვეთი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს შემდეგნაირად: ზრდის ღირებულებას საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით; ამცირებს საბალანსო ღირებულებას განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვით; და თავიდან აფასებს საბალანსო ღირებულებას საიჯარო გადახდების ცვლილებების შემთხვევაში.

მოიჯარის მიერ საიჯარო ვალდებულების თავიდან შეფასებისას კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება იჯარის ყველა სხვა მოდიფიკაციის გათვალისწინებით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აქტივის გამოყენების უფლება ნულის ტოლია, მოიჯარემ მოგება/ზარალში უნდა აღიაროს ნებისმიერი მოდიფიკაცია.

კომპანიამ გადაწყვიტა გამოიყენოს განთავისუფლების უფლება და მოკლევადიან იჯარასთან, ან დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებით დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღიაროს ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აქტივის გამოყენების უფლება შესაძლოა აღირიცხოს ძირითად საშუალებებში ან განცალკევებულად, ხოლო საიჯარო ვალდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ან განცალკევებულად.

კომპანია როგორც მეიჯარე

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა ფასს 16-ის მიღების შემდეგ არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. როგორც მეიჯარე, კომპანია აკლასიფიცირებს იჯარას როგორც საოპერაციოს ან ფინანსურს. იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, თუ მას გადააქვს ძირითადი რისკები და ანაზღაურება ძირითადი აქტივების საკუთრებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, კლასიფიცირდება როგორც ოპერაციული იჯარა.

მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები აღირიცხება გადახდის ფაქტობრივი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურება. საავანსო გადახდები კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდები უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად იქნება პირველადი აღიარებისას კლასიფიცირებული, როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესაძენი წინასწარი გადახდები გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს ან მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელიშევა კომპანიაში. სხვა საავანსო გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც მიღებულია საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არის იმის ინდიკატორები, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი და მომსახურება არიქნება მიღებული, საავანსო გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში. გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

კაპიტალი

მფლობელთა კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის მოცულობა და მისი ცვლილებები განისაზღვრება კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებით.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და ცვლილებების ინტერპრეტაცია შეიძლება შესაბამისმა ორგანოებმა ექვემდებარებოდნენ. შემოწმებისას შეიძლება მოხდეს დამატებითი გადასახდელების, ჯარიმების ან საურავების დარიცხვა. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო სტატუსი უცვლელი დარჩება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის მიერ განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს აქტივის მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც ხდება აქტივის გამოყენება. ნებისმიერი ზემოაღნიშნული ფაქტორის ან შეფასების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების კორექტირება.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების გაუფასურება

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით, კომპანია იყენებს შეფასებებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულების დასადგენად ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს.

მარაგების ვარგისიანობის ვადის გათვალისწინებით, კომპანია აფასებს დამკველბული და რთულად რეალიზებადი ერთეულების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას საანგარიშო პერიოდის ბოლოს და შემდგომ ნაწილობრივ ჩამოწერს მარაგების თვითღირებულებას წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე. მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ძირითადად ეფუძნება დაშვებას მომავალ მოთხოვნაზე დროის განსაზღვრულ პერიოდში.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების, მათ შორის გაცემული სესხების გაუფასურება

კომპანია რეგულარულად ამოწმებს თავის დებიტორულ დავალიანებას, ასევე გაცემულ სესხებს გაუფასურების შესაფასებლად. ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისთვის ფასს 9-ის მიხედვით ანარიცხი დამოკიდებულია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე (ECL), რომელიც განისაზღვრება შემდგომი თორმეტი თვის განმავლობაში დეფოლტის ალბათობით, თუ არ მოხდა მნიშვნელობანი ზრდა საკრედიტო რისკში წარმოშობის შემდგომ. თუ ფინანსური აქტივი შეესაბამება “შექმნილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების” (POCI)-ის განმარტებას, ანარიცხი დამოკიდებულია ELC-ის ცვლილებაზე აქტივის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები

ჯგუფი და კომპანია შედის გარიგებებში მის დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას სამართლიანი ღირებულებით. ჯგუფი და კომპანია განიხილავს არის თუ არა გამოყენებული საბაზრო ფასი ტრანზაქციის განხორციელებისას, - თუ არა, სადაც არსებობს აქტიური ბაზარი ასეთი გარიგებებისთვის. ასეთი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს მსგავსი გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებთან.

იჯარის გაგრძელების უფლება.

როდესაც საწარმოს აქვს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება, ხელმძღვანელობამ უნდა შეაფასოს, საკმარისად სარწმუნო იქნება თუ არა ამ უფლების გამოყენება. ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა ფაქტს და გარემოებას, მათ შორის წარსულ გამოცდილებას და ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც გაწეული იქნება აქტივის შესაცვლელად, თუ ეს უფლება არ იქნება გამოყენებული, რაც მათ დაეხმარება საიჯარო პირობების განსასაზღვრად. ხელმძღვანელობა თვლის რომ მათი შეფასება ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ადეკვატურია.

შპს „G & G INVEST“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განამრტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

5. შემოსავალი და გაყიდული მომსახურების თვითღირებულება

ჯგუფი

	2019	2018
შემოსავალი მომსახურებიდან	1,008,923	981,769
შემოსავალი იჯარიდან	8,234	-
სხვა შემოსავალი	11,091	3,466
სულ შემოსავალი	1,028,248	985,235

2019 წელს გაყიდული მომსახურების თვითღირებულებამ შეადგინა 471,631 ლარი, ხოლო 2018 წელს 489,035 ლარი.

კომპანია

	2019	2018
შემოსავალი მომსახურებიდან	1,008,923	981,261
შემოსავალი იჯარიდან	8,234	-
სხვა შემოსავალი	11,091	3,466
სულ შემოსავალი	1,028,248	984,727

2019 წელს გაყიდული მომსახურების თვითღირებულებამ შეადგინა 471,631 ლარი, ხოლო 2018 წელს 489,035 ლარი.

6. საინვესტიციო შემოსავალი

2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის საინვესტიციო შემოსავალმა ჯგუფისთვის შეადგინა 12,695,493 ლარი და 8,072,677 ლარი, შესაბამისად. კომპანიის საინვესტიციო შემოსავალი 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის 4,771,738 ლარი და 4,674,899 ლარია.

7. მოგების გადასახადი

(ჯგუფი და კომპანია)

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2023 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების

შპს „G & G INVEST“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

7. მოგების გადასახადი (გაგრძელება)

გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2018 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

მოგების გადასახადი 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეადგენდა 99,084 ლარს (2018: ნული).

8. ინვესტიციები შვილობილ და მეკავშირე საწარმოებში

შვილობილი და მეკავშირე საწარმოების ძირითად საქმიანობას საკუთარი ან იჯარით აღებული უძრავი ქონების გაქირავება და მართვის სხვა საქმიანობები, ასევე, სამშენებლო პროექტების შემუშავება წარმოადგენს.

(კომპანია)

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	წილი (%)	ქვეყანა	ინვესტიცია	ღირ-ბა	დაარსების თარიღი
შპს "ჯეი 5"	50%	საქართველო	მეკავშირე საწარმო	11,036,238	12 იანვარი 2015
შპს "ჯი ენდ ჯი ქეი"	94%	საქართველო	შვილობილი	1,560,043	14 მარტი 2017
შპს "ლისი"	12%	საქართველო	სავაჭრო ინვესტიცია	854,246	27 აგვისტო 1996
შპს "ჯეი 4"	50%	საქართველო	მეკავშირე საწარმო	73,500	17 ოქტომბერი 2014
შპს "ეი პი ეს"	50%	საქართველო	მეკავშირე საწარმო	21,783	5 თებერვალი 2015
შპს "ჯეი 1"	50%	საქართველო	მეკავშირე საწარმო	-	9 ივლისი 2013
შპს "ჯეი 2"	50%	საქართველო	მეკავშირე საწარმო	-	8 იანვარი 2014
შპს "ჯეი 3"	50%	საქართველო	მეკავშირე საწარმო	-	6 აგვისტო 2014
სულ				13,545,810	

შპს „G & G INVEST“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

8. ინვესტიციები შვილობილ და მეკავშირე საწარმოებში (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	წილი (%)	ქვეყანა	ინვესტიცია	ღირ-ბა	დაარსების თარიღი
შპს "ჯეი 5"	50%	საქართველო	მეკავშირე საწარმო	3,443,850	12 იანვარი 2015
შპს "ჯი ენდ ჯი ქეი "	94%	საქართველო	შვილობილი	2,498,088	14 მარტი 2017
შპს "ლისი"	12%	საქართველო	სავაჭრო ინვესტიცია	845,883	27 აგვისტო 1996
შპს "ჯეი 4"	50%	საქართველო	მეკავშირე საწარმო	73,500	17 ოქტომბერი 2014
შპს "ეი პი ეს"	100%	საქართველო	შვილობილი	1	5 თებერვალი 2015
შპს "ჯეი 1"	50%	საქართველო	მეკავშირე საწარმო	-	9 ივლისი 2013
შპს "ჯეი 2"	50%	საქართველო	მეკავშირე საწარმო	-	8 იანვარი 2014
შპს "ჯეი 3"	50%	საქართველო	მეკავშირე საწარმო	-	6 აგვისტო 2014
სულ				6,861,322	

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

	წილი (%)	ქვეყანა	ინვესტიცია	ღირ-ბა	დაარსების თარიღი
შპს "ჯი ენდ ჯი ქეი "	94%	საქართველო	შვილობილი	1,377,623	14 მარტი 2017
შპს "ჯეი 4"	50%	საქართველო	მეკავშირე საწარმო	73,500	17 ოქტომბერი 2014
შპს "ეი პი ეს"	100%	საქართველო	შვილობილი	1	5 თებერვალი 2015
შპს "ჯეი 5"	50%	საქართველო	მეკავშირე საწარმო	-	12 იანვარი 2015
შპს "ლისი"	0%	საქართველო	სავაჭრო ინვესტიცია	-	27 აგვისტო 1996
შპს "ჯეი 1"	50%	საქართველო	მეკავშირე საწარმო	-	9 ივლისი 2013
შპს "ჯეი 2"	50%	საქართველო	მეკავშირე საწარმო	-	8 იანვარი 2014
შპს "ჯეი 3"	50%	საქართველო	მეკავშირე საწარმო	-	6 აგვისტო 2014
სულ				1,451,124	

ჯგუფი

ჯგუფის ინვესტიციებმა შვილობილ და მეკავშირე საწარმოებში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 32,994,392 , 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 18,438,364 ლარი, ხოლო 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 9,549,413 ლარი შეადგინა.

შპს „G & G INVEST“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განამრტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

9. გადახდილი ავანსები

ჯგუფი

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
მიწის შესყიდვის მიზნით გადახდილი ავანსი	443,749	271,222	-
გადახდილი ავანსები	78,500	65,600	65,600
სულ გადახდილი ავანსები	522,249	336,822	65,600

კომპანია

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
მიწის შესყიდვის მიზნით გადახდილი ავანსი	443,749	271,222	-
გადახდილი ავანსები	78,500	65,600	65,600
სულ გადახდილი ავანსები	522,249	336,822	65,600

10. გაცემული სესხები

(ჯგუფი და კომპანია)

გაცემული სესხები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019		31 დეკემბერი 2018		1 იანვარი 2018	
	ჯგუფი	კომპანია	ჯგუფი	კომპანია	ჯგუფი	კომპანია
გაცემული სესხები	1,934,166	1,934,166	1,444,111	2,494,305	2,746,166	3,664,379

პროცენტი განისაზღვრება ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ჯგუფი

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
სავაჭრო მოთხოვნები	1,906,265	464,037	449,614
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	-	102,270	102,284
ჯამი	1,906,265	566,307	551,898
გაუფასურების რეზერვი	(356,739)	(286,043)	(276,139)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,549,526	280,264	275,759

შპს „G & G INVEST“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განამრტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

კომპანია

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
სავაჭრო მოთხოვნები	1,906,265	464,037	448,214
ჯამი	1,906,265	464,037	448,214
გაუფასურების რეზერვი	(356,739)	(286,043)	(276,139)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,549,526	177,994	172,075

ჯგუფი და კომპანია

გაუფასურების ანარიცხი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(276,139)
წლის დარიცხვა	(9,904)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(286,043)
წლის დარიცხვა	(70,696)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(356,739)

12. ფული და ფულის ეკვივალენტები

ჯგუფი

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	1,329,853	1,572,606	1,593,623
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	880,652	30,621	7,336
ფული სალაროში	7,577	11,242	9,443
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	2,218,082	1,614,469	1,610,402

კომპანია

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	1,329,853	1,572,606	1,593,623
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	880,482	30,363	174
ფული სალაროში	7,508	11,242	9,443
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	2,217,843	1,614,211	1,603,240

13. სხვა აქტივები

(ჯგუფი და კომპანია)

სხვა აქტივები წარმოადგენს მშენებარე გასაყიდ ქონებას, 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა აქტივები 691,950 ლარია, ხოლო 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 410,879 ლარი.

შპს „G & G INVEST“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განამრტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

14. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები შედგება გასაყიდი ბინის სანაცვლოდ არსებული წინასწარ-გადახდებისა და სხვა ავანსებისგან.

ჯგუფი

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
გასაყიდი ბინის სანაცვლოდ მიღებული ავანსი	562,238	562,238	562,238
სხვა	218	218	218
მიღებული ავანსები	562,456	562,456	562,456

კომპანია

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
გასაყიდი ბინის სანაცვლოდ მიღებული ავანსი	562,238	562,238	562,238
მიღებული ავანსები	562,238	562,238	562,238

15. მფლობელთა კაპიტალი

(ჯგუფი და კომპანია)

2019 წლის განმავლობაში კომპანიის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 359,723 ლარით მფლობელის მიერ ნაღდი ფულით შენატანის გზით, და შემცირდა 945,250 ლარით.

2018 წლის განმავლობაში კომპანიის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 1,500,000 ლარით მფლობელის მიერ ნაღდი ფულით შენატანის გზით, და შემცირდა 1,295,744 ლარით.

საწესდებო კაპიტალი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 481,345 ლარს.

შპს „G & G INVEST“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

16. ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფი და კომპანია დგას სხვადასხვა სახის რისკების წინაშე ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით მისი საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე. რისკის უმთავრესი სახეებია: საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი.

ჯგუფის მიერ გამოყენებული მთავარი ფინანსური ინსტრუმენტები არის შემდეგი:

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ინვესტიციები შვილობილ და მკავშირე საწარმოებში	8	32,994,392	18,438,364	9,549,413
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	1,906,265	566,307	551,898
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	2,218,082	1,614,469	1,610,402
საგადასახადო აქტივი		9,873	9,873	9,965
გაცემული სესხები		1,934,166	1,444,111	2,746,166
სულ ფინანსური აქტივები		39,062,778	22,073,124	14,467,844

ფინანსური ვალდებულებები	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
საიჯარო ვალდებულებები		120,097	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		133,765	156,178	147,544
საგადასახადო ვალდებულებები		4,880	4,822	21,333
სესხები		346,738	366,355	322,837
სულ ფინანსური ვალდებულებები		605,480	527,355	491,714

კომპანიის მიერ გამოყენებული მთავარი ფინანსური ინსტრუმენტები არის შემდეგი:

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ინვესტიციები შვილობილ და მკავშირე საწარმოებში	8	13,545,810	6,861,322	1,451,124
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	1,906,265	464,037	448,214
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	2,217,843	1,614,211	1,603,240
გაცემული სესხები		1,934,166	2,494,305	3,664,379
სულ ფინანსური აქტივები		19,604,084	11,433,875	7,166,957

ფინანსური ვალდებულებები	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
საიჯარო ვალდებულებები		120,097	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		133,765	116,854	108,220
საგადასახადო ვალდებულებები		4,880	4,822	21,333
სესხები		346,738	346,738	322,837
სულ ფინანსური ვალდებულებები		605,480	468,414	452,390

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ზემოთ მოცემული ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან.

ჯგუფი და კომპანია განიცდის საბაზრო რისკის მიმართ მგრძოლობას.

საბაზრო რისკი - გამომდინარეობს (ა) საპროცენტო რისკში (ბ) სავალუტო რისკში, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები.

სავალუტო რისკი - კომპანიაზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე სავალუტო გაცვლითი კურსის დომინანტურ დონეებში მომხდარი

შპს „G & G INVEST“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განამრტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

16. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ცვლილებები.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ჯგუფის და კომპანიის მგრძნობიარობა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მიმართ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

ჯგუფისთვის:

	2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
	ზეგავლენა მოგება-ზარალზე	ზეგავლენა მოგება-ზარალზე
აშშ დოლარის 15%-ით გამყარება	860,203	818,898
აშშ დოლარის 15%-ით გაუფასურება	(860,203)	(818,898)

კომპანიისთვის:

	2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
	ზეგავლენა მოგება-ზარალზე	ზეგავლენა მოგება-ზარალზე
აშშ დოლარის 15%-ით გამყარება	850,506	1,125,882
აშშ დოლარის 15%-ით გაუფასურება	(850,506)	(1,125,882)

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდურობის რისკი ეხება სესხების გადინების და სხვა ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს, მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები არ ემთხვევა. აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადების დარეგულირება არსებითად მნიშვნელოვანია.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია ჯგუფის სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 წლამდე	1-3 წლამდე	3-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,218,082	-	-	-	2,218,082
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,906,265	-	-	-	1,906,265
ინვესტიციები შვილობილ და მეკავშირე საწარმოებში	-	-	-	32,994,392	32,994,392
საგადასახადო აქტივი	9,873	-	-	-	9,873
გაცემული სესხები	1,934,166	-	-	-	1,934,166
სულ ფინანსური აქტივები	6,068,386	-	-	32,994,392	39,062,778
ფინანსური ვალდებულებები					
სესხები	346,738	-	-	-	346,738
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	133,765	-	-	-	133,765
საგადასახადო ვალდებულებები	4,880	-	-	-	4,880
საიჯარო ვალდებულებები	120,097	-	-	-	120,097
სულ ფინანსური ვალდებულებები	605,480	-	-	-	605,480
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	5,462,906	-	-	32,994,392	38,457,298

შპს „G & G INVEST“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განამრტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

16. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

<i>2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>	1 წლამდე	1-3 წლამდე	3-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,614,469	-	-	-	1,614,469
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	566,307	-	-	-	566,307
ინვესტიციები შვილობილ და მეკავშირე საწარმოებში	-	-	-	18,438,364	18,438,364
საგადასახადო აქტივი	9,873	-	-	-	9,873
გაცემული სესხები	1,444,111	-	-	-	1,444,111
სულ ფინანსური აქტივები	3,634,760	-	-	18,438,364	22,073,124
ფინანსური ვალდებულებები					
სესხები	366,355	-	-	-	366,355
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	156,178	-	-	-	156,178
საგადასახადო ვალდებულებები	4,822	-	-	-	4,822
სულ ფინანსური ვალდებულებები	527,355	-	-	-	527,355
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	3,107,405	-	-	18,438,364	21,545,769

<i>2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით</i>	1 წლამდე	1-3 წლამდე	3-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,610,402	-	-	-	1,610,402
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	551,898	-	-	-	551,898
ინვესტიციები შვილობილ და მეკავშირე საწარმოებში	-	-	-	9,549,413	9,549,413
საგადასახადო აქტივი	9,965	-	-	-	9,965
გაცემული სესხები	2,746,166	-	-	-	2,746,166
სულ ფინანსური აქტივები	4,918,431	-	-	9,549,413	14,467,844
ფინანსური ვალდებულებები					
სესხები	322,837	-	-	-	322,837
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	147,544	-	-	-	147,544
საგადასახადო ვალდებულებები	21,333	-	-	-	21,333
სულ ფინანსური ვალდებულებები	491,714	-	-	-	491,714
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	4,426,717	-	-	9,549,413	13,976,130

შპს „G & G INVEST“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განამრტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

16. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია კომპანიის სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი:

<i>2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>	1 წლამდე	1-3 წლამდე	3-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,217,843	-	-	-	2,217,843
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,906,265	-	-	-	1,906,265
ინვესტიციები შვილობილ და მეკავშირესაწარმოებში	-	-	-	13,545,810	13,545,810
გაცემული სესხები	1,934,166	-	-	-	1,934,166
სულ ფინანსური აქტივები	6,058,274	-	-	13,545,810	19,604,084
ფინანსური ვალდებულებები					
სესხები	346,738	-	-	-	346,738
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	133,765	-	-	-	133,765
საგადასახადო ვალდებულებები	4,880	-	-	-	4,880
საიჯარო ვალდებულებები	26,633	59,883	33,581	-	120,097
სულ ფინანსური ვალდებულებები	512,016	59,883	33,581	-	605,480
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	5,546,258	(59,883)	(33,581)	13,545,810	18,998,604

<i>2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>	1 წლამდე	1-3 წლამდე	3-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,614,211	-	-	-	1,614,211
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	464,037	-	-	-	464,037
ინვესტიციები შვილობილ და მეკავშირესაწარმოებში	-	-	-	6,861,322	6,861,322
გაცემული სესხები	2,494,305	-	-	-	2,494,305
სულ ფინანსური აქტივები	4,572,553	-	-	6,861,322	11,433,875
ფინანსური ვალდებულებები					
სესხები	346,738	-	-	-	346,738
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	112,454	-	-	-	112,454
საგადასახადო ვალდებულებები	4,822	-	-	-	4,822
სულ ფინანსური ვალდებულებები	464,014	-	-	-	464,014
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	4,108,539	-	-	6,861,322	10,969,861

<i>2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით</i>	1 წლამდე	1-3 წლამდე	3-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,603,240	-	-	-	1,603,240
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	448,214	-	-	-	448,214
ინვესტიციები შვილობილ და მეკავშირესაწარმოებში	-	-	-	1,451,124	1,451,124
გაცემული სესხები	3,664,379	-	-	-	3,664,379
სულ ფინანსური აქტივები	5,715,833	-	-	1,451,124	7,166,957
ფინანსური ვალდებულებები					
სესხები	322,837	-	-	-	322,837
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	108,220	-	-	-	108,220
საგადასახადო ვალდებულებები	21,333	-	-	-	21,333
სულ ფინანსური ვალდებულებები	452,390	-	-	-	452,390
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	5,263,443	-	-	1,451,124	6,714,567

შპს „G & G INVEST“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

17. პირობითი ვალდებულებები**საგადასახადო კანონმდებლობა**

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ კომპანიას დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

18. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ტრანზაქციები

დაკავშირებულ მხარეთა შორის დადებული გარიგებების მოცულობა, წლის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი წლის განმავლობაში წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ჯგუფი

აქტივი გამოყენების უფლებით	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
მეკავშირე საწარმო	106,492	-	-
სულ აქტივი გამოყენების უფლებით	106,492	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
მეკავშირე საწარმო	112,533	109,660	175,586
სხვა დაკავშირებული მხარე	1,527,896	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,906,265	464,037	448,214
საიჯარო ვალდებულებები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
მეკავშირე საწარმო	120,097	-	-
სულ საიჯარო ვალდებულებები	120,097	-	-
გაცემული სესხები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
სხვა დაკავშირებული მხარე	1,934,166	1,424,494	2,746,166
სულ გაცემილი სესხები	1,934,166	1,444,111	2,746,166
მიღებული სესხები სესხები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
სხვა დაკავშირებული მხარე	346,738	346,738	322,837
სულ გაცემილი სესხები	346,738	366,355	322,837

შპს „G & G INVEST“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

18. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ტრანზაქციები (გაგრძელება)

შემოსავალი	2019	2018
მეკავშირე საწარმო	1,017,313	960,966
სულ შემოსავალი	1,028,248	985,235
არასაოპერაციო შემოსავალი	2019	2018
სხვა დაკავშირებული მხარე	-	164,842
სულ არასაოპერაციო შემოსავალი	-	189,111
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2019	2018
მეკავშირე საწარმო	28,473	27,971
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	369,405	386,652
ფინანსური ხარჯი	2019	2018
სხვა დაკავშირებული მხარე	10,107	23,901
სულ ფინანსური ხარჯი	10,107	23,901
ფინანსური შემოსავალი	2019	2018
სხვა დაკავშირებული მხარე	225,413	239,387
სულ ფინანსური შემოსავალი	225,413	249,594
შვილობილი საწარმოს გაყიდვიდან მიღებული მოგება	2019	2018
შვილობილი საწარმოს გაყიდვიდან მიღებული მოგება	4,600,824	-
სულ შვილობილი საწარმოს გაყიდვიდან მიღებული მოგება	4,600,824	-

კომპანია

აქტივი გამოყენების უფლებით	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
მეკავშირე საწარმო	106,492	-	-
სულ აქტივი გამოყენების უფლებით	106,492	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
მეკავშირე საწარმო	112,533	109,660	175,586
შვილობილი	-	-	12,300
სხვა დაკავშირებული მხარე	1,527,896	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,906,265	464,037	448,214
საიჯარო ვალდებულებები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
მეკავშირე საწარმო	120,097	-	-
სულ საიჯარო ვალდებულებები	120,097	-	-
გაცემული სესხები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
შვილობილი	-	1,069,811	918,214
სხვა დაკავშირებული მხარე	1,934,166	1,424,494	2,746,166
სულ გაცემილი სესხები	1,934,166	2,494,305	3,664,379
მიღებული სესხები სესხები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
სხვა დაკავშირებული მხარე	346,738	346,738	322,837
სულ გაცემილი სესხები	346,738	346,738	322,837

შპს „G & G INVEST“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

18. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ტრანზაქციები (გაგრძელება)

შემოსავალი	2019	2018
მეკავშირე საწარმო	1,017,313	960,458
შვილობილი	-	24,269
სულ შემოსავალი	1,028,248	984,727
არასაოპერაციო შემოსავალი	2019	2018
სხვა დაკავშირებული მხარე	-	164,842
სულ არასაოპერაციო შემოსავალი	-	189,111
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2019	2018
მეკავშირე საწარმო	28,473	27,971
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	369,350	386,028
ფინანსური ხარჯი	2019	2018
სხვა დაკავშირებული მხარე	10,107	23,901
სულ ფინანსური ხარჯი	10,107	23,901
ფინანსური შემოსავალი	2019	2018
სხვა დაკავშირებული მხარე	225,413	239,387
შვილობილი	-	127,261
სულ ფინანსური შემოსავალი	225,413	366,648
შვილობილი საწარმოს გაყიდვიდან მიღებული მოგება	2019	2018
შვილობილი საწარმოს გაყიდვიდან მიღებული მოგება	4,033,950	-
სულ შვილობილი საწარმოს გაყიდვიდან მიღებული მოგება	4,033,950	-
უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობა	2019	2018
ხელფასი და სხვა განაცემი	34,500	34,500
სულ	34,500	34,500

შპს „G & G INVEST“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის და კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 30 სექტემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

- 2020 წლის იანვრიდან კომპანიის მესაკუთრე შპს ეიპი გახდა.
- 2020 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოაცხადა და გასცა დივიდენდი 1,893,800 ლარის ოდენობით.
- 2020 წელს, მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ, 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. აღნიშნული ვითარების გამო საქართველოში, 2020 წლის 21 მარტს, გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა 1 თვის ვადით. შექმნილი ვითარების გამო, არა ერთი ინდუსტრია გამოწვევების წინაშე დადგა. კომპანია მიიჩნევს რომ აქვს რესურსი და ყველა პირობა იმისთვის რომ შეძლოს ბიზნესის უწყვეტობის შენარჩუნება. საცხოვრებელი ბინების სესხებთან დაკავშირებული, სახელმწიფოს მიერ შემუშავებული სუბსიდირების გეგმის დახმარებით, კომპანიის ძირითადი კლიენტების ფინანსური მდგომარეობა COVID 19-ის პირობებში დრამატულად არ გაუარესებულა. იგეგმება ახალი პროექტების განხორციელება. ნეგატიური ფაქტორები არ შეუშლის ხელს კომპანიას და ჯგუფს საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, როგორც ეს აღნიშნულია მე-2 განმარტებით შენიშვნაში.